

გომისეთის განაშენიანების პროგრამის პრეზენტაცია



30 ივლისს, სოფელ შემოქმედის პარკში, გაეროს განვითარების პროგრამასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გომისეთის განაშენიანების გეგმის შემოქმედებასთან დაკავშირებული შეთანხმების ხელმოწერის ცერემონია ჩატარდა.

შეთანხმების მეორადულს ხელი ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა ლეიზა ვინტონმა მოაწერეს.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, ზურაბ ნასარია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შინა

გიორგობიანი, შვეიცარიის საელჩოსა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

გაიმართა ტურისტული პროექტის „საინფორმაციო ცენტრი ბორბლებზე“ პრეზენტაცია.

ოზურგეთის მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, ალექო მამუშვილმა სტუმრებს პროექტების „ჩაის გზისა“ და „აღმოსავლეთი გურია“ ბენეფიციარები გააცნო.

ღონისძიება სოფელ წითელმთაში ლიკა მეგრელაძის საოჯახო სასტუმრო „კომლში“ ჩაის კრეფის პროცესითა და დეგუსტაციით დასრულდა.





ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი ბამოლის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 19 (10355) 3 აპრილი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

სოფელ ბაილეთში საცხოვრებელ სახლში ხელყუბპარა შეაბდეს



ალიონი. გასულ პარასკევს, დღის 5 საათზე, სოფელ ახალსოფელში (ბაილეთის თემი) ზურაბ ებრაღიძის საცხოვრებელ სახლში ხელყუბპარა შეაგდეს. გაზეთი „ალიონი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ბაილეთში ზურაბ დარჩიას დაუკავშირდა.

— შემთხვევა გათენებამდე, ადრე დილით მოხდა. დღეს „ფურბან ბაილეთის“ დღესასწაულია, მაგრამ მომხდარი არანაირად ამ თემს არ უკავშირდება. ვერაფერობით დაუდგენელმა პირებმა ხელყუბპარა შეაგდეს ზურაბ ებრაღიძის საცხოვრებელ სახლში და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენეს საცხოვრებელ სახლს. პოლიცია მუშაობს შემთხვევის ადგილზე. ზურაბ ებრაღიძის ოჯახი თავს

იკავებს კომენტარისაგან, თუ რას შეიძლება უკავშირდებოდეს ეს ფაქტი.

ხშირად დადიოდა თურქეთში სამუშაოდ, ბათუმში სავარაუდოდ ბიზნესი ჰქონდა. იმდროს, გამოძიება სინამდვილეს დაადგენს — გვითხრა მან.

როგორც ამბობენ, კონფლიქტური სიტუაცია მეზობლებს შორის ადრეც იყო, რაც თხილის მოპარვის მცდელობას უკავშირდება. 2015 წელს ოჯახმა თავმჯდომარეობა მიიღო, რის გამოც მათი ოჯახის წევრს პირობითი სასჯელი დაეკისრა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 187-ე მუხლით, რაც სხვისი ნივთების განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

მიმდინარეობს გამოძიება.

აშენდება თუ არა ოზურგეთში ალუმინის სემულების საწარმო



ექაღილევი ხელისუფლებისაგან პასუხს ითხოვს

ალიონი. ქ. ოზურგეთში, ექაღილის უბანში მდებარე ნედლეულისაგან - ფერადი ლითონების ნარჩენებისაგან ალუმინის სემულების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლოატაციის სკოპინგზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის ლევან დავითაშვილის მიერ ბრძანების გაცემას, ქ. ოზურგეთში ექაღილის უბნის (არა მარტო ამ უბნის) მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა. 18 ივლისს, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის, რომელიც ამჟამად

ინდურ კომპანია „მანსაროვარს“ ეკუთვნის, მიმდებარე ტერიტორიაზე არპოლიტიკური საპროტესტო აქცია გამართა.

ექაღილის მოსახლეობას კარგად ახსოვს კომპანია „მანსაროვარისა“ და „ჯეო გადამამუშავებელის“ მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტიდან შემოტანილი მეთრადი აკუმულატორებისაგან კუსტარულად ტყვიის სემულების მიღების პროცესი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო მოსახლეობას, არამედ ფლორ-

სა და ფაუნას. არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ 2015 წელს ჩატარებული კვლევებით მდინარე ბჟუფი (რომელსაც ერთვის აჭისწყალი) ტყვიით ყველაზე მეტად დაბინძურებულია საქართველოს მცირე მდინარეებს შორის.

ადგილობრივი მოსახლეობა ფიქრობს, რომ არსებობს ალუმინის საწარმოს მხრიდან გარემოზე და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი, ამიტომ ისინი ხელისუფლებიდან სათანადო ჩართულობას ითხოვენ გზ-მის ანგარიშის განხ-

ილვაში.

— ყველაფერი საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა გაირკვეს. არ გვინდა დაპირებები. რატომ ჩაყარეს მილიონები ანასეულის წყალმომარაგების პროექტში, როცა წყალსაქანი სადგურიდან 40 მეტრში ასეთი მავნე, ტოქსიკური საწარმო უნდა აშენდეს — აცხადებს ადგილობრივების ერთი ჯგუფი.

მეორე ჯგუფი ფიქრობს, რომ მთელი ქალაქი უნდა დადგეს ფეხზე და ფართომასშტაბიანი ანგარიშის განხ-

ლიტერატურული გურძია



საქართველოს მფარველთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის ბაჰში № 6, (9), აპრილი, 2020წ

თამარ ყურაშვილი



შროშანებს მოვითან...

უძლები შვილივით მაღლი განმკარგვია,
განვფანტე მზე, რაც შინ და გარეთ მოვიდა,
ზურმუხტის ნავიდან ქარვისფერ ნავამდე,
ცხოვრების შეცდომებს წვალებით მოვითან...

ისე სპეტაკია შენი სამოსელი,
მარჯნისფერ მავებით შენდობა მომინდა...
ალმარის შემოვადექ,
მარიამ დედაო,
გული ხელით მომაქვს,
შროშანებს მოვითან...

2019

მოგიყვებო ბარდასულ მითებს...

გზავარდინზე უფლის გზას ვირჩევ,
ჭადრები ჯიბრში ჩაუდგება წარსულის ნიშებს...
თუ ინებებო, სტუმარო, ისევ
მოგიყვებო ბარდასულ მითებს...
როგორ ეხლება არაბიას ზვირთი ბედგრული,
როგორ იტაცებს წკვარამეთში მთვარეს
ენგური,

გამოღმა მხრიდან უარი არის, არა დასტური...
ქვევრის და ხავსის კრიალია ალადასტური...
ნისლა მოზვერი, თავგასული,
გადააყოლეს ვალების მიზეზს...
ბოსელში დარჩა თბილი სუნთქვა და
წაუკითხავი თვალის სიღრმე...

2018

დავიცდი

თებერვალს ნაჩვევი ფიქრით ეთოვება
დაუსრულებელი ეჭვი და დაისი...
სადაც ყვავებს მიაქვთ,
ქარვა მოგონებად,
წლების ნოსტალგია, ფეროვან ხვალ-
ისი...

ახლა ჩუმადა ვარ,
თუმც, მზე არ მეყოფა,
სანამდე იშავებს ღრუბლები, არ ვიცი...
ხავსის ზურმუხტით ბზინავს შეცოდება,
უფალო,
შენდობას ვითხოვ და დავიცდი...

ელენე გურბენაძე

მხრებზე შემომხვია ხელი გათენებამ,
ლამის ფანჯარაში დილა შემომიხტეს...
და როგორ არ მინდა დილის გათენება,
რადგან უშენობა ისევ შემომიხტეს...

მინდა სულ მეძინოს, ჩემთან ხარ სიზმრებში,
წამოთაც არ მტოვებ, მთვლეშარეს თან
დამდეგ...
სულსა და ფიქრებში წამებში მიძვრები,
თითქოს შენეული ტკივილი გადამდე...

როცა გაზაფხული სულ მთლად გაშიშვლდება,
მაშინ დავბრუნდები წვიმად ლურჯ ზეციდან,
ზოგჯერ შენთან ყოფნა ისე მომშივდება,
მცვივა მონატრება ყველა უვრედლიდან...
ამ ჩემს ნაბოღვარებს თვალს რომ გადაავლებ,
ვიცი, გაიღიმებ, ვიცი, რომ შემეგრძნობ...
მერე უშენობას სადაც გადავადებ,
ალბათ ასე ძლიერ სულშიაც ვერ ვიგრძნობ

ტკივილს და სიჩუმეს, ცრემლებს მარილიანს
მზე რომ ამიორთქლებს წამში დაწვებიდან,



მაგრამ ეს დღეები არსად არ მიდიან,
არც ეს ღამეები საწოლს არ წვებიან...

ხელი შემომხვია წელზე გათენებამ,
გიხმობ და გეძახი, სამყარო ვერ გიტევს,
საშინლად არ მინდა დილის გათენება,
რადგან შენს გარეშე სიცოცხლე მომიწევს...

მე ავყავილი, ჩემში ახლა სული აპრილობს
და დასახეთქი კვირტებით შემეკსო მკერდი,
ნევატივები, ვცდილობ, ისევ წარსულს ავიდო
და შენს მკლავებზე მივასვენო დაღლილი
მხრები;

რომ დავასვენო, გავამზადო ისევ
ტვირთისთვის,
დელიბის ჭაპანს ხომ ძლიერი მხრები
სჭირდება?!

და სულიერი სიმშვიდისკენ ისე მივიღებე,
ვერძნობ, ყვავილობა შენით მე არ გამოჭირდება.

ჩემში მზე ბუღობს, მალე მოვა დრო
ბუნიობის...
ამ ოქტომბერში, რა კენა, თუკი მეაპრილება?!
ეს ყვავილობა, ასე სავე მეწუნიობით,
მე შენთან ერთად მაინც უფრო მეადვილება.

შენ მაკვირდები, იმასხოვრებ ყველა
ცვლილებას,
შენი თვალები ჩემს თვალებში ვარსკვლავებს
ხედავს...
ვიცი, ძნელია ხუმტურების დამორჩილება,
თუმც გევალება, დაუყვავო მომავალ დედას.

მზე სხივებით მეფერება მყვრიმალზე,
შენ ღიმილებს გაშლილ თმებში მიქარგავ,
და ფიქრები მაყენებენ ყირაზე,
ამბობენ, რომ უცნაურად მიყვარხარ...
გვირილები მიცვივიან სულიდან,
შენს ღიმილებს ვხატავ რძისფერ ზეცაზე,
შენზე ფიქრით მიცახცახებს სული და
მოდი, ისევ დამამშვიდე, ეცადე!

იური ჩისლაძე

მონატრება

როცა განთიადის სული ინამება,
როცა მამლის ისმის ყივილი,
დიდი ტკივილია თურმე მონატრება,
თანაც უსაშველო ტკივილი...

როს ბედნიერება ისევ გადაწონა
ჩემმა უბედობის სიმძიმემ,
აწი არავისგან ველი შეწყალებას,
არა, არავისგან ვიცი მე.

ოი, მონატრება, სული გაწეწილი
დარებს გავატანე დარდიანს,
კაცის დაბადება თუკი ზღაპარია,
მაშინ სინამდვილე რას ჰქვია?!

ოი, მონატრება, ჩემთვის ყველაფერი
ისევ უცნაურად ბინდდება,
ვისთვის მცირეა და ვისთვის ბუმბერაზი,
ღმერთის ნაწუქარი დიდება.



ოი, მონატრება, რატომ უნდა დატყენს
ჯერ არგაუშლელი ყაყაჩო?..
ოი, დამბრუნდი, თორემ ეს ტკივილი
სადღაც უმოწყალოდ დამახრჩობს...

მიტოვებული ტაძარი

სიყვარულის და სიწმინდის მსხვერპლი,
ყალბი ცხოვრება დაგეშლია,
მაგრამ მე უფლის წინაშე ვდგავარ
და არაფრის არ მეშინია.
ძველი გუმბათის გაბზარულ ფრესკებს,
უკვე დათხარეს თვალი მუასედ,
არააობა ვარდისფერ ღიმილს,
უკულო ცხენის ბუთი მიათრევს.

მინავლებული სანთლების ალზე,
იწვის სიკეთე დამონებული
და მხრებზე ცოდვის ტვირთად მაწევს,
ცხოვრება სხვისგან აღმოდებული.
და რა კენა, თუკი ობოლი მწვეფსი,
ტაძარში ღოცვის გარეშე ვერ ვძლებ,
ზოგჯერ სიკვდილსაც დიდი ფასი აქვს
და ამ საფასურს დღედაღამ ვეძებ.

ცისანა ჩხაიძე-ჯაში

უცხოეთში წასულ ღელას

გადახვეწილხარ უცხო მხარეში,
მოხუც ბებოსთან დამტოვე მარტო,
გხედავ, თანდათან ძალა ელევა,
ისიც შენს წასვლას სულ დარდობს, ვატყობ.

ღელაც სახლში ჰყავს, მამაც და მესმის,
როგორ კისკისებს მეზობლის გოგო,
მე კი, ნებერად, თქვი, რა მამყოფებს,
მტანჯავს ნაღველი და მერე როგორ.

მამაც დარდისგან მთლად გაილია,
გულში ატარებს სევდას მალულად,
ის სისარული, ჩვენში რომ იყო,
ღელს ცხრა მთას იქით გადაძალულა.

არც ტანსაცმელი მინდა მდიდრული,
არც დოლარები მიტაცებს მათი,
თუ არ ჩამქრალა ღვთის სული შენში,
მოდი, რომ ვიყო ლაღი, ამაყი.


მოდი მე შენთან ყოფნა მწაღია,
ამ წელში უნდა გაეხდე თქვენსმეტის,
მე მხოლოდ შენი სითბო მაკლია,
სხვა არაფერი მინდა შენს მეტი.

ფრთხილამოყრელი დავალ ტოლებში,
დამხიბებული თვალები ცრემლით,

ღელს რაც ხდება მსოფლიოში,
ყველა კარგად ვხედავთ,
ეს სასჯელი, უმკაცრესი
მოგვივლინა ღმერთმა.

შევიძულე ერთმანეთი,
სათნოცა და მწირიც,
შევიყვარეთ ოქრო-ვერცხლი,
სამოსელი ძვირი.

გავხდით გემოს მოყვარულნი,
დავივიწყეთ ღმერთი,
ველარ მოვთვლით, ჩავიდინეთ
ცოლო არაერთი.



ბნელი ფიქრები გამიშობიან,
მოდი, მიშველე, დამდექ გვერდით.

ვისაც სახლში ჰყავს ღელა, იმისთვის
სიღარიბეც კი სამურია,
არა, არ მინდა მე სხვა სიმდიდრე,
მე შენთან ყოფნა მულამ მწყურია.

ათი წელია წახველ სახლიდან,
მსურს ისევ სითბომ დაისადგუროს,
ვარდებს გავყვიდი, არას მოგაკლებ,
ოღონდ ჩემს გვერდით ისევ ვიგოლო.

არა და არ შევისმინეთ
შეგონება ღვთისა,
მცნებანი – ვინც მოსეს ხელით
ქვაზე ამოტვიფრა.

მრავალგვარი გასართობი
გავინადეთ კერპად,
ამიტომაც ეს სასჯელი
მოგვივლინა ღმერთმა.

მოგვიტყვეთ, რაც შეგცოდეთ,
სამებაო ერთო,
მუხლმოდრეკით გვედრებით,
შეგვიწყალე ღმერთო!

ნანა ჭყონია

ღამე მოსდგომია სარკმელს,
ქარი სიზმრებს ანანავებს,
მიილია ნისლში მთვარე,
ორღობებს არ ანათებს.

სოფლის ბოლოს ჭოტი კივის,
ღღენთელი ტოვებს ტაროს,
მოციქული ბედის მარეცს
დამტყნარ ყვავილებს სთავაზობს.

სევდიანი ნაფიქრალი –
ალარ ვიცი, ვის გავანდო,
წუთისოფლის სიცრუე ცრის...
სიმათლის თქმას არვინ ლამობს.

ღამე მოსდგომია სარკმელს,
მზიან გათენებას ვნატრობ!!!

მინდა, წვიმად გადავიქცე,
რომ შენს ბაღში ვინავარდო,
ჩამისუნთქო, ვით ყვავილი,
სხვა სურნელი არ ინატრო.

მინდა – გულის ფანტელებით
ზამთრის გრძელი ღამე ვქარგო,
ფიანდაზად დაგეფინო,
არაფერში არ იდარდო!



მღუღარ ღოცვით ღოცულობენ მონაზვნები,
ტაძრის კედლებს მოგონების სხივი დაჰკრავს,
იღვენთება ჯადოსნური კელაპტრები,
სიმხურვალე გადააქცევს უცებ ხანძრად.
თითქო წამით შემობრძანდა უწმინდესი
და ბნელეთი მისმა მოსვლამ გაანათა.
თუ გაუძლო ამ ტაძარმა დროთა ჭიდილს,
ვლავ გაუძლებს არ სწევია თავის დახრა.

სევდის ლაშქარს ათას ღიმილს დავახვედრებ,
ლივლივა ფერს შემომივლებს ცისარტყელა,
მე ვლოცულობ საქართველოს მომავალზე,
ჩემს სამშობლოს ნათელი დღე დაუდგება.

თემურ მარუანიშვილი

რა უნდა მტრის განდევნას?!

რომ მეგობა, თითქოს ლექსი
მხარეთმცოდნე წამოწვა,
არ ყოფილა ასე, გესმის?
შემიჩერე, წამო, წვა!
რის თორმეტი, რა თორმეტი?
მამული გვაქვს ათგოჯა.
რაც დაკარგეთ, უფრო მეტიც,
ყველა მტერმა აბოჭა.
ვდგავართ შორად, დაყოფილი,
დარდი გულ-ღვიძლს გამოგვკამს,
არც ერთი ვართ კმაყოფილი,
მივტირით მტრის ნაბოჭარს.
მათქმევინე ორი სიტყვა,
სანამ მაცემე, წამო, ჯვარს:
რატომ ვაძლევთ ამ ჩვენს მიწას
გადამთიელ ნამოჭვარს?!
წინაპარი ჟინს გვიწუნებს:
„ასე რამ დაგაკოჭლათ?
თუ ავდექი, ცენტ ბიჭ-ბიჭუნებს,
მტერთან ერთად, გაგაკოჭავთ.
დავიჯერო, აღარ შეგვრჩათ
თვალისხინი და სმენა?
დაუდექით ღუმშიანთ ელჩად,
მათ გასწავლეს დასმენა.
მასხარაობი, მართავეთ შოუს,
ამოუდგით მანვს ენა,
თქვენი ნაშენები წროულს
ერთი მაინც მაჩვენა.
თუ ენა გაქვთ და მამული,
არ ღალატობთ თან რწმენას,
თუ არა ხართ დამამლული,
რა უნდა მტრის დაწვენას?!“



შეგვიჭამა ჟანგა თოხი,
ბარმა ბარი დატოვა,
გვექონდა სახლი, დაგვრჩა ქოხი,
სიღუხეზირემ დათოვა.
რა გვიშველის ასე, მყრალი
სიმწრის ოფლის დაწვს დენა?
არ დაგვრჩება მიწა-წყალი
ერთი ხელის გაწვენა.
მტერს შეაკვდნენ, თქვენ ნუ მოჰკლავთ
ცხრა ძმას, სამას არავევს,
სოფელს ტოვებთ, ქალაქს როკავთ,
ვის უტოვებთ სამარგელს?!
.თვალეები აქვთ დანაშული
მუხრანს, მურმანს და დემანს,
თუ არა ხართ დამამლული,
რა უნდა მტრის განდევნას?!“

ყვარელი და საყვარელი

როცა არ მძინავს, როცა ღამეა,
როცა გომბორიც მოკამკამეა,
როცა მეწვევა ტრფობის ფანდები,
ავენთები და შევტორტმანდები!

შევტორტმანდები, გრძობანამუსრი
იფივლებს რითმა – ლექსის ნამუსი.
აგედევნები ტაეტ-ტაეტით
გავიჟებული, შმაგი ტაეპით.

როცა არ მძინავს, ღამეა როცა,
„კახურისაგან“ იცლება ბოცა,

ბახუსმორეულს, ბახუსი რომ მცავს,
უკან დამრჩება სუფრაც და ღროცა...

და მაცდურ მახეს – ბადაგა ბაგეს,
პოეტისათვის ტაბუ რომ ადევს,
მოვეჭრები და შეგებდავ ამბორს,
ქმარი კი შენი ამიტენს ამბოსს...

დილით გეტყვიან, – ამბავს თუ ელი, –
სიკვდილით უხვი დარჩა ღუელი.
შემოსე ძაბით მთელი ყვარელი,
არც ქმარი გყავს და არც საყვარელი.

მარია ბაქანიძე

გავხალისეთ კაჭა



სადაც სიცოცხლე ზეიმობს, იმ მიწის გულში ვარ ჩაზრდილი. ფესვი მაქვს ისეთი უძირო, ხავსს რომ ვერ მიაწვდენს წყალ -ცივი. კენწერო ისეთ კლდისაა, მხოლოდ

არწივთა სამშენი. სხვა ვერ შეწვდება იალალ! ვერ დასძლევს ,ძღვეთ ქვამშენელი. ენა ისეთი ძველი მაქვს, დაუსაბამოდ მყოფელი..
ყამ-ხრწნილ მორევეში ჩაფლული, აღდგომის კარად მლოცველი. ისეთი ბალ-ვენახი მაქვს, წყარო -წანწკარა,ჩანჩქერი..
ოქროს თევზი" და "ოქროს მთა, ქვევრი მალულად თავშენი. ისეთი ბრძენი მუნის ტანს, უთლია ჩვენი აკვნები..
ვერა ძალა რომ ვერ ბილწავს ვერანაირი ზაკვებით. ისეთი პაპის წილი გვსხამს, კარ-მიდამო და მთა-თხემი, ისეთი ურჩი სისხლი გვაქვს, დაღვრილს მტერს მასხედ ვარგებდით. ისეთი შეძახილი გვაქვს, აქ მიწად რომ ვერ ეტევა, არა!
არ დასთმობს ქართველი, სოცოცხლის ლერწმზე მზე-მტევანს!

გ - ურულებთან სტუმრათ მისლა;
უ- ი! მოი? როის მიხვალ?
რ-აფერ ჩამოვიცთა ფეხი?
უ-ფ! უფ! აგამენებს ღმერთი.

ლ-აპარიკი მერეიზა,
ე- ცა, გამოწიე სტოლი,
ბ-ახჩამი რომ მსხალი იდგა....
ი-ქინეა თუ მისტობი.

ს-ტოლსაფარი ეგერაა,
ს-ურვანდის შკაფს რომ უძახი.
ტ-იტველ სტოლზე რაფერ დაგსვაა?
უ-იი.აი რა მითხარი?

მ- უუსლელი ჩემი მტრისას.
რ-ომ არ იყოს ჭიშკრის ხმაი.
ო-რჯერ დამირეკა ვინცხამ...
ბ-ახჩას ვრწყავდი, არ ვიყავი.

ა-ხლა ცაზე ხელს მუარებ,
ა-მფერი სიხარულიზა.

რ-აფერ ჩამოვიცთა ფეხი?
გ-ულმა რენჩხი ხომ არ გიქნა?

ე-ლანძე ცომს ამოვზილავ,
გ-ობს მევიდგამ ფუხართან...
ო-რი ჭური ადესა მაქ..
ნ-აქები და სუფთა თლა.

ო-ღონდ, ღმერთო, არ მოშალო
თ-ბილ ფუძეზე კრიმანჭული,
ხ-ირგლით დაზნექილი სტოლი,
უ-მაცდურო სავსე გული.

მ-ოით ახლა ხაზირია,
რ-აც ქი ვქენი, სულითაა.
ო-დაში რომ მზეი ხარობს...
ბ-რდღვიალა და სტუმრის ცაა...

ა- ი მოსლა შენზე იყო
წასლა ჩემი წილია.
უი, მოი?
როის მიხვალ?
მაგას სხვაფერ ჩივიან.

საგაფხომო ლექსები ჯემალ დობორჯბინიძე

ნორჩი მესაზღვრის სიძღვრა

ახალციხელი ბიჭი ვარ,
სახელად მქვია თორნიკე,
სამხრეთის საზღვარს დავიცავ,
მტერი რომ ვერ შემოვიდეს!

გვერდით ძმა მიდგას ბასილა,
ქართლიდან ველი გიორგის,
გურიით ვჯაბა ვადმოვა,
ჩემი ბიძის ძე იორდით.

განაწყენებული თავკი

- ფისომ ხომ არ გაწყენინა,
რა გატირებს, თავგო?
- მე ჭიანი კბილი მერგო,
სალი კიდევ - თავკოს.

ვინ სად იძინებს

ცხელა და ქვიშა ციმციმებს,
ვევლა პატარა იძინებს.
გოჭი - ტალახში ნანაობს,
ობობა ქსელში ქანაობს,
ბოჩოლას სძინავს ქართაში,
მზიას - ბეზიას კალთაში.

ცელქების გაშაირება

- ლელაო, გოგოვ, ლელაო,
პაი, შე ჩუმჩუმელაო,
თუ ყოჩაღად არ იქნები,
ჭუკებს მოგტაცებს მელაო!

- გელაო, ბიჭო, გელაო,
პაი, შე ცუდლუტელაო,
მონადირედ რომ ვარგოდე,
რას დამაკლებდა მელაო.



გგელო

ცუგა რომ დაგვევენა
მხოლოდ მაშინ გიცანი.

მეტი აღარ მოხვიდე
ჩვენს ეზოში, გგელო
თუ არ გინდა თოფით
თვალი დაგებნელო!

ოტია ტრაკაიძე

არ მაქვს სურვილი განმარტოების

გამადიდებულე ამ მთების სუნთქვით,
ჩემი სიმები შენსკენ მოემართე,
შენს გულში მინდა დავიდო ბინა,
გიმღერო სულის ამოხდომამდე.

დაგაკვირდები თვალეში თბილად,
მკერდზე შრიალებს თმები აშლილი,
სარკმლის რაფაზე დამჯდარა დილა,
გვესაუბრება ლურჯი აპრილი.

შენმა ღიმილმა გზა გამინათა,
თეთრად დაენთენ ტყემლის რტოები,
გამითბე გული მთების ბინადარს,
არ მაქვს სურვილი განმარტოების!

დიდხანს იცოცხლეთ, ჩემო ლექსებო,
ჩემო რითმებო, ცეცხლის მფრქვევლებო,
ფრთები გაშალეთ საქართველოსთვის,
არ მიმატოვოთ, ჩემო მცველებო.

ფრთები გაშალეთ უფრორე მაშინ,
როცა მოკვდები, თვალს რომ მივლულავ,
მაგრამ სიკვდილი თუ გიწერიათ,
სჯობს ჩემთან ერთად მოკვდეთ მალულად.

თუ გადარჩით და არ დაიღუპეთ,
ღმერთმა ინება თქვენი სიცოცხლე,
მეც თქვენთან ერთად მიგულეთ მაშინ
თქვენთან ვიქნები, კარგად იცოდეთ.

არ დაივიწყოთ ჩემი საფლავი,
ქვაზე წარწერა თქვენით იქნება,
როგორც ყოველის, ამ ქვეყანაზე
თქვენი სიმაღლეც გამოიცდება.

ღროის ქარტეხილს ცოტა თუ უძლებს
და ღირსეული მარცხიც ფასდება,
ჩვენ თუ დავმარცდით, რა მოხდა მერე,
საქართველო ხომ მაინც დარჩება.

ვცხოვრობ, მწვერვალზე ავდივარ თითქოს
და თითო წელი თითო კიბეა,
სამოცდახუთი შემომხვდა უკვე,
წლები სიბერის გადამკიდეა...



და რაც დრო გადის, სამშობლო ტკება,
მტერი მწარდება - მით უარესი.
ვისსენებ წარსულს - ხელისგულზეა
დაღვრილი სისხლი უმზურვალესი.

რად გინდა წლები, სიცოცხლე თუნდაც,
ეს ყველაფერი თუ არ გაწუხებს,

სამაჩაბლოს და აფხაზეთს ახლა
განვიცდი, როგორც მშანთავ მარწუხებს...

და ბოლოს მაინც იმედი არის,
მწვერვალზე დრომა აფრიადდება
და შემომხვდება კიბეზე სადღაც
მე საქართველოს გამთლიანება.

მავთულხლართებს ამ მიწაზე რა უნდა,
ეს მიწა რუსთველის და თამარის,
ეს კედელი ვინ და როდის ააგო,
რა თქმა უნდა, ეს ბერლინი არ არის.

ქართულს სადმე ვეღარ ნახავ ვერაფერს,
აქ ბევრია უცხო ქვეყნის გემი,
გაგიჟდები კაცი, თუ არ იყვირე -
„და მე ვყვირი - აფხაზეთი ჩემი...“

ერთმანეთში გასაყოფი რა გვაქვს,
ის მესამე კი - მტერია ჩვენი,
თუ ვერ მიხვდით, რასაც ვამბობ, ძმებო,
ხვალ ხსენება არ იქნება თქვენი.

ეკატერინე ცინცაძის პერსონალური გამოფენა ოზურგეთში



განსაკუთრებული სინატიფით გამოირჩევა და ეს სინატიფე მეტად შეინიშნება ეკატერინე ცინცაძის ნახატებში, ორიენტირებული კომპოზიციებში, ესთეტიკაში ფერთა შეხამებაში, თემის აქტუალობაში... – ამ სიტყვებით გახსნა გამოფენა ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ, რომელმაც მხატვარს წარმატებები უსურვა შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში.

მხატვარი ქალის მაღალ პროფესიონალიზმზე გაამახვილა ყურადღება გალერეის დირექტორმა, მხატვარმა აეთანდრედილ თავართქილაძემ:

„ეს ეკატერინეს პირველი პერსონალური გამოფენაა და კარგად ვიცი, როგორ ღელავს ახლა ის. თავის დროზე, ჩვენც ასე ველავადით ჩვენს გამოფენებზე, როგორ მიიღებდა ჩვენს ნამუშევრებს სახვითი ხელოვნების სპეციალისტები და მოყვარულები. ახლა ამ სურათებს რომ ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ უკვე საქმე გვაქვს პროფესიონალ, შემოქმედებითად მრავალმხრივ საინტერესო ხელოვნათმცოდნე და მინდა, მივულოცო მას. მოხარული ვარ, რომ ეკატერინეს პირველი პერსონალური გამოფენა ჩვენს გალერაში შედგა“.

გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის თამაზ დარჩიას თქმით, გალერეას სულ სხვა ელფერი შესძინა ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებმა:

„უბრალო ჩარჩოებში ჩასმული ეს ნამუშევრები მეტად დახვეწილად გამოიყურება. ეკატერინეს ნამუშევრებმა

დღეს განსაკუთრებული ელფერი შემატა ჩვენს გალერეას. კარგია, რომ ტრადიციულ დაკვიდრდა აჭარაში გურიის მხატვართა, გურიაში კი აჭარაში მოღვაწე ჩვენი კოლექციების გამოფენები“.

აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტყარაძემ კი ბათუმელი ახალგაზრდა მხატვარი ქალი და მისი შემოქმედება ასე დაასაიათა:

„ეკატერინე, როგორც მხატვარი, ჩვენი აღზრდილია და მიხარია, რომ დღითიდღე პოპულარული ხდება. მისი ნახატების კონცა მთავარია, ისეთია. ეკატერინე ახლანდელ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა, ახალი ამბავია, ჯერ დამადასტურებელი მოწმობაც კი არ ჩამოვლია. ვულოცავ მას და მადლობას გიხდით თქვენ მისი პერსონალური გამოფენის მოწყობისთვის“.

ეკატერინე ცინცაძეს პირველი პერსონალური გამოფენა მიულოცა მხატვარმა ანა ნიკოლაიშვილმა, ვის ნამუშევრებსაც, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მალე გაეცნობა ოზურგეთის საზოგადოება.

მართლაც, აფერუმ ამ ახალგაზრდა ნიჭიერს ქალს, ვინაც, გარდა იმისა, რომ წარმატებით იღვწის მხატვრობაში, სამი შვილის დედა და მისაბაძი ოჯახის დიასახლისია!

თამაზ პარხანიშვილი



ოზურგეთის თოჯინების თეატრმა სეზონი ურეკში დასურა



ალიონი. ოზურგეთის თოჯინების თეატრმა (სამხატვრო ხელოვნების დირექტორი ლაშა კუტალაძე) წლებგანდელი თეატრალური სეზონი კურორტ ურეკში გასტროლით დასურა. დასმა საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარებს უჩვენა პრემიერა ს. ჭეიშვილის „დაიყვლე, მამალო“ (რეჟისორი ოთარ კუტალაძე), ასევე შ. პეროს „ვარაყა წითელქუდას თემაზე“ (რეჟისორი ვახტანგ ვიგინიშვილი).

სპექტაკლების მუსიკალური გამორეკელი დავით მეგრელიძე, მხატვარი – ნინო კეჭუყაძე.

წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მსახიობები: გურამ კეკელიძე, ნინო გავუა, ელენე კვარაცხელია, ვიორჯი გაფრინდაშვილი, თამაზ გაბრიელიანი, ვიორჯი ვაშალიძე.

სპექტაკლები გაიმართა რეგულაციების სრული დაცვით.



ვასო ჩიგოგიძე: „მოგავალ სეზონს ჩვენს რეაბილიტირებულ უნებავში უმეხვდებით“.

ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა თავისი 152-ე თეატრალური სეზონი ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში ე. მაცხონაშვილის „წერილი ჯერალდინას“ წარმოდგენით დასურა.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე თავის ფეისბუქგვერდზე წერს, 152-ე თეატრალური სეზონი მათი უბინობის დასასრული იქნება:

„152-ე თეატრალური სეზონი ჩვენი უბინობის დასასრულიცაა. პანდემიამ ჩვენც შეგვაფერხა, მაგრამ პრემიერები მაინც გვქონდა და გვექნება. მაყურებელიც მუდამ ჩვენს გვერდითაა. მადლობა!“

სეზონის დასურვას ესწრებოდნენ ჩვენი მუდმივი დამხმარეები და მეგობრები ოზურგეთის გაგვიბის თანამშრომლები, მერი კოტე შარაშენიძე, მერის მოადგილე ირაკლი სირაძე და სხვები. სასიხარულოა, რომ მაყურებლებს შორის იყო ჩვენი ქალაქის შვილი, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია თავისი ოჯახით, თეატრთმცოდნეები ვიორჯი ყაჯრიშვილი და მარინე ვასაძე...

მომავალ სეზონს ჩვენს რეაბილიტირებულ უნებავში შევხვდებით“.



7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბლილი +14+23 3 აგვისტო ორშაბათი	მზა, +15+24 4 აგვისტო სამშაბათი	მზა, +17+24 5 აგვისტო ოთხშაბათი	მზა, +15+24 6 აგვისტო ხუთშაბათი	მზა, +19+21 7 აგვისტო პარასკევი	წვიმა +18+20 8 აგვისტო შაბათი	მკირმ წვიმა +17+21 9 აგვისტო კვირა
--------------------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------------------	------------------------------------	----------------------------------	---------------------------------------